საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გთხოვთ თანხმობას, რათა **ლევან დოლიძე** დაინიშნოს ნატოსთან საქართველოს წარმომადგენლად.

მიხეილ სააკაშვილი

№1/146
3.06.2013

№ 07-1/61
"06" 06 2013
2 ფურცელი

ცნობა

ლევან დოლიძე დაიბადა 1980 წლის 2 იანვარს ქ. თბილისში.

2002 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი საერთაშორისო სამართლის სპეციალობით და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

2008-2009 წლებში სწავლობდა ჟენევის უსაფრთხოების პოლიტიკის ცენტრში, ჟენევის უნივერსიტეტში და მიენიჭა საერთაშორისო და ევროპული უსაფრთხოების მაგისტრის ხარისხი.

2000-2001 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში საგარეო პოლიტიკის ანალიზის სამსახურის სტაჟიორი.

2001-2002 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამმართველოს სტაჟიორი.

2002-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის პარლამენტთან ურთიერთობებისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამმართველოში სხვადასხვა თანამდებობაზე.

2004 წელს იყო საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის იურისტი.

2004-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში საქართველოს პრეზიდენტის მთავრობასთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობებისა და იურიდიულ საკითხთა სამსახურის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისა და

ექსპერტიზის სამმართველოს უფროსად, შემდეგ - მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების სამსახურის უფროსად.

2006 წლის მარტიდან ივლისამდე იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ამერიკის დეპარტამენტის მრჩეველი.

2006-2008 წლებში მუშაობდა შვეიცარიის კონფედერაციაში, ჟენევაში გაეროს განყოფილებებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში (საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა) მრჩევლად და ევალებოდა საკონსულო ფუნქციების განხორციელება, შემდეგ კი - კონსულად.

2009-2010 წლებში მუშაობდა შპს „მაგთიკომში" იურისტად.

2010-2012 წლებში იყო „ლევან მიქელაძის ფონდის" დირექტორი.

2012 წლის ივლისიდან სექტემბრამდე მუშაობდა Must Carry-ის მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელად.

2012 წლის 29 ოქტომბრიდან დღემდე არის საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე.

2012 წელს მინიჭებული აქვს უმცროსი მრჩევლის დიპლომატიური რანგი.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

დავით უმეკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის
საქმისწარმოებისა და საკადრო საკითხთა
სამსახურის უფროსი